სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ---------- 2
2. ტექნიკური დოკუმენტაცია ---- ---------- 2
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ---------- 5

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირებისა და ინდ. მეწარმეთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (ინდ. მეწარმეების გარდა)
გ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.

1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ნასამართლეობის შესახებ;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

1,3 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს:
–„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე–2 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ. (არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში „კ" კვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა)

1,4 1.1. და 1.2. პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან შეტყობინებაში აღნიშნულ ვადაში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1,5 პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2, ანგარიშსწორების პირობები:

2,1 სატენდერო წინადადებაში საერთო თასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2,2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში–ლარებში.

2,3 ანგარიშსწორება:

2.3.1 ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ავანსად მოთხოვნილ თანხის იდენტურ საბანკო გარანტიას, ანგარიშსწორება განხორციელდება 5 საბანკო დღეში საბანკო გარანტიის წარდგენის დღიდან.

2,3,1 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მოწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის დამტკიცებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3, შესყიდვების ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი ტექნიკური პრამეტრებისა და რაოდენობის მითითებით მოცემულია **დანართ №1**

4, საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

4.1. საქონლის მოწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. ჯვარი, დას. ფოცხო ეწერი, თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ქ. გალის რ-ნი დას. საბერიო.

4,2 მოწოდების ვადაა 20 კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან

5. მიღება – ჩაბარების წესი

5,1 საქონლის მოწოდება დასრულებულად ჩაითვლება დანართ №1-ში ნაჩვენები საქონლის სრული რაოდენობით მოწოდებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

5,2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შპს „ენგურჰესი"-ს მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. გარანტია

6,1 მიმწოდებელი იძლევა მოწოდებულ საქონელზე ექსპლუატაციის ნორმების სრული დაცვის შემთხვევაში მინიმუმ ერთ წლიან საგარანტიო ვადას. ვადაზე ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებები მიმწოდებელმა უნდა აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით 10 დღის განმავლობაში.

7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები;
- ფასების ცხრილი;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმის მიხედვით.

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მოწოდების ვადა	წარმოშობის ქვეყანა

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი იქნება წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ვახტანგ მოლაშხია 895 30 99 12, 895 22 70 60, 8 415 2 87 66; 8 415 5 22 94,
ელ. ფოსტა vakho.molashkhia@engurhesi.ge

დანართი №1

საოფისე ინვენტარი
ნუსხა

№	დასახელება	ტექნიკური მონაცემი	მასალა	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	გარდერობი	ზომა 200*90სმ,	ლამინირებული დსპ	ცალი 1	გალის რ-ნი დას. საბერიო
2	სამზარეულოს კარადა	თეფშების საშრობით და ნიჟარით		ცალი 1	
3	ტახტი ორი სავარძლით	ტახტი გასაშლელი ნაცრისფერი + ორი სავარძელი	ხე, ნაჭრით გადაკრული	კომპ. 1	
4	ტახტი	ნაცრისფერი	ხე, ნაჭრით გადაკრული	ცალი 1	
5	ტელევიზორი	თხევადკრისტალური დიაგონალი 61 სმ.		ცალი 2	
6	მაცივარი	ორგანყოფილებიანი, მოცულობით 350 - 400 ლიტრი		ცალი 1	
7	ჟურნალის მაგიდა	შუშის		ცალი 1	
8	მაგიდა	ზომა 1*1 მ		ცალი 1	
9	სკამი		ხე, ნაჭრით გადაკრული	ცალი 2	
10	სამზარეულოს მაგიდა სკამებით	ოთხკუთხედი, 4 სკამით		კომპლ 1	
11	სავარძელი გორგოლაჭებზე	საოფისე, ნაჭრის, შავი, ორი რეგულირებით, რომელთაგან ერთი უზრუნველყოფს სიმაღლის რეგულირებას, მეორე კი საზურგის რეგულირებას და ფიქსაციას ნებისმიერ პოზიციაზე		ცალი 8	ქ. თბილისი
12	დივანი კუთხვილი (ევროპული წარმოშობის)	საოფისე, კუთხვილი ტყავით გადაკრული, ფერი შავი ან მუქი შოკოლადისფერი	იხილეთ ესკიზი	ცალი 1	
	ჟურნალის მაგიდა	შუშის ზედაპირი		ცალი 1	
	ელექტროღუმელი ფრიტურნიცით	ელექტროღუმელი უნდა იყოს როგორც გაზზე ისე ელექტროენერგიაზე		ცალი 1	ქ. ჯვარი დას. ფოცხო ეწერი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ზუგდიდი 2011 წ.

ერთის მხრივ შპს „ენგურჰესი" (შემდგომში შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას სახით და მეორეს მხრივ,---------- (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია:

ავეჯის შესყიდვა დანართ №1 ნაჩვენები ოდენობითა და ტექნიკური მონაცემებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ——————————— ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ავანსად მოთხოვნილ თანხის იდენტურ საბანკო გარანტიას, ანგარიშსწორება განხორციელდება 5 საბანკო დღეში საბანკო გარანტიის წარდგენის დღიდან.
4.3 ანგარიშსწორება მოხდება **მოწოდებულ საქონელზე** მიღება-ჩაბარების აქტის **დამტკიცებისა** და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5,1 **დანართ №1-ით გათვალისწინებული საქონლის** მოწოდების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
5,2 საქონლის მოწოდება დასრულებულად ჩაითვლება **დანართ №1-თ გათვალისწინებული საქონლის** მოწოდებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.
5,3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შპს „ენგურჰესი"-ს მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6 საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

6,1 საქონლის მოწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. ჯვარი, დას. ფოცხო-ეწერი, თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გალის რ-ნი, დას. საბერიო.
6,2 საქონლის მოწოდების ვადაა **20 დღე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან**.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) საქონლის მოწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

8.1. არ განიხილება

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღრული პირი – შპს „ენგურჰესი"-ს თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტის მხრიდან მთ. ინჟინერი ლ. ჭანტურია და შპს „ენგურჰესის" მხრიდა საქონელთ მცოდნე ექსპედიტორი ნ. ჯანჯარია

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და დეფექტების გამოვენას.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. გარანტია

10,1 მიმწოდებელი იძლევა მოწოდებულ საქონელზე ექსპლუატაციის ნორმების სრული დაცვის შემთხვევაში მინიმუმ ერთ წლიან საგარანტიო ვადას. ვადაზე ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებები მიმწოდებელმა უნდა აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით 10 დღის განმავლობაში.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთნავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14,1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის ---------- ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
_____	_____